<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2022 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩის II შესახვევისთვის, იმერეთის I გასასვლელისთვის, იმერეთის II გასასვლელისთვის, იმერეთის IV შესახვევისთვის პოეტის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩის II შესახვევს მიენიჭოს პოეტის ვაჟიკა ფხოველის ქუჩის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
2. ნაძალადევის რაიონში, იმერეთის I გასასვლელს მიენიჭოს პოეტის ვაჟიკო ფხოველის I გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
3. ნაძალადევის რაიონში, იმერეთის II გასასვლელს მიენიჭოს პოეტის ვაჟიკო ფხოველის II გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.
4. ნაძალადევის რაიონში, იმერეთის IV შესახვევს მიენიჭოს პოეტის ვაჟიკა ფხოველის III გასასვლელის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

5. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

6. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X:483306 Y:4620936
X:483331 Y:4620931
X:483461 Y:4620910
X:483461 Y:4620904
X:483353 Y:4620870
X:483335 Y:4620865
X:483352 Y:4620870
X:483196 Y:4620829
X:483361 Y:4620846
X:483404 Y:4620809
X:483410 Y:4620793
X:483426 Y:4620779
X:483428 Y:4620766
N
1:1,000

წერილის ნომერი: **19-01211741693**
თარიღი: **23/06/2021**
პინი: **0034**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს
ბატონ მიხეილ ამაშუკელს

ბატონო მიხეილ,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურში შემოსულია მოქალაქე ვაჟა ბადაგაძის წერილი (N19/01211672812-01, 16.06.2021წ), რომელიც ქ.თბილისში, ისიდორე დოლიძის ქუჩისთვის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭების საკითხს ეხება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლის შესაბამისად, გიგზავნით აღნიშნულ წერილს შემდგომი რეაგირებისათვის და გთხოვთ, გადაწყვეტილების შესახებ აცნობოთ განმცხადებელს.

დანართი: 2 გვერდი.

პატივისცემით,

ირაკლი გვილავა

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კახა კალაძეს

მოქალაქე ვაჟა ბადაგაძის

განცხადება

ს/ნ 01030027070

მოგმართავთ თხოვნით, ისიდორე ქუჩისთვის **ვაჟიკა ფხოველის** სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

ვაჟიკა ფხოველი დიმიტრი იოსების ძე ცალხელიშვილის ფსევდონიმია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი და ბალადა ,,ხარება და გოგია". ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო და იბეჭდებოდა ბევრ მაშინდელ ჟურნალებში: ,,ჩვენი თაობა", ოქტომბრელი", და სხვა. სამშობლოზე უზომოდ იყო შეყვარებული, მისი ლექსების მეტი ნაწილი სწორედ სამშობლოზეა. 1941 წელს გაიწვიეს ჯარში, და 1945 წელს სამამულო ომში დაიღუპა. მწერალთა კავშირის შენობის ერთ-ერთ კედელზე მარმარილოს დაფაზე დიდ სამამულო ომში დაღუპული მწერლების გვერდით ვაჟიკა ფხოველის სურათიც იყო გამოკრული. (წყარო- ვახტანგ გორგანელი, ,,მე სამშობლოთი ამაყი ვიყავ". სწორედ ამ უკანასკნელმა მოაგროვა მისი ლექსები და გამოსცა კრებული ამ სათაურით. გამომცემლობა ,,მერანი" 1986წ. ვაჟიკა ფხოველი იმ თაობის მწერალია- თბილისის საჯარო ბიბლიოთეკის ლიტერატურულ წრეს, რომელსაც ალექსანდრე შანიძე ხელმძღვანელობდა, კვირაობით იკრიბებოდნენ და განიხილავდნენ, როგორც მურმან ლებანიძის, შალვა ფორჩხიძის, ოთარ ჭელიძის, სიმონ მეტრეველის და ასევე მის ლექსებსაც.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გთხოვთ ამ ახალგაზრდა პოეტის სახელის ქუჩისთვის მინიჭებით პატივს მივაგებთ მის ხსოვნას.

მის: ქ. თბილისი, ისიდორე ფოფხაძე 21.

ტელ. 595 470504

3 - [illegible]

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია

tbilisi.gov.ge **ცხელი ხაზი - (+995 32) 2722222**

ნომერი: 19/01211672812-01
თარიღი: 16.06.2021 15:38
ვადა: 19.07.2021

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ვაჟა ბადაგაძე პირადი ნომერი: 01030027070
მისამართი: ისიდორე დოლიძის ქ 21
საკონტაქტო ინფორმაცია: 595470504;
რეგიონი: თბილისი/ჩუღურეთი

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
თავისუფალი განცხადება/წერილი

მოთხოვნის ტექსტი

ისიდორეს ქუჩისთვის ვაჯა ფხოველის სახელის მინიჭების შესახებ

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 1
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა: საფოსტო მომსახურებით სარგებლობა

გავეცანი, თანახმა ვარ ჩემი პერსონალური მონაცემები დამუშავებული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ

ხელმოწერა: _____

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის მერია
№ 19/01211672812-01
16.06.2021 : 15:38
ქ. თბილისი, გ.შარტავას ქ. N7

წერილის ნომერი: **03-032215826**
თარიღი: **07/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსის ირაკლი გვილავას 2021 წლის 23 ივნისის საქმე #15-032117428-03 დაკავშირებით, რომლითაც ვაჟა ბადაგაძის მიმართვის საფუძველზე ითხოვს ისიდორე დოლიძის ქუჩისთვის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ისიდორე დოლიძის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 4 (ოთხი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-0122164154**
თარიღი: **13/06/2022**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 07.06.2022 წლის #03-032215826 (07.06.2022წ. #14-01221582384-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ვაჟიკა ფხოველი
(---1945)

პოეტი

ვაჟიკა ფხოველი დიმიტრი იოსების ძე ცალხელიშვილის ფსევდონიმია. მის კალამს ეკუთვნის მრავალი ლექსი და ბალადა „ხარება და გოგია“.
ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაიწყო და იბეჭდებოდა ბევრ მაშინდელ პერიოდულ გამოცემებში: „ჩვენი თაობა“, „ოქტომბრელი“ და სხვა. მისი ლექსების დიდი ნაწილი პატრიოტული სულისკვეთებისაა.
ვაჟიკა ფხოველი 1941 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. 1945 წელს დაიღუპა სამამულო ომში.
მწერალთა კავშირის შენობის ერთ-ერთ კედელზე, მარმარილოს დაფაზე მეორე მსოფლიო ომში დაღუპული მწერლების გვერდით ვაჟიკა ფხოველის ფოტოსურათიც იყო განთავსებული.